

რადგან ეს ბროშურა თქვენს ხელში აღმოჩნდა, ე.ი. უკვე სერიოზულად ფიქრობთ რამხელა ზიანი მოაქვს თამბაქოს და ეძებთ “უბოროტეს მტერ-მოყვარესთან” განშორების გზებს. გილოცავთ, თქვენ უმნიშვნელოვანესი პირველი ნაბიჯი უკვე გადადგით! ამ ბროშურაში შეჯამებულია რა ზიანი მოაქვს თქვენთვის მოწევას, რატომ უნდა დაანებოთ თავი და როგორია თავის დანებების ყველაზე საიმედო, მეცნიერულად დასაბუთებული და ადვილი გზა. გახსოვდეთ, თამბაქოსთვის თავის დანებება საუკეთესო საჩუქარია, რომელიც მწეველს შეუძლია საკუთარ თავს და გარშემომყოფთ მიართვას. რჩევებიც, რომელსაც აქ მოგაწოდებთ, სწორედ იმის მიხედვით არის შედგენილი, რა დაეხმარა ყველაზე მეტად ჩვევის წარმატებით დამარცხებაში მილიონობით მწეველს მთელ მსოფლიოში.

თამბაქოს მიტოვებაში მთავარი როლი თქვენ გეკუთვნით, ნებისყოფის მაქსიმალური დაძაბვაც მოგიწევთ და არცთუ ისე იოლი გზის გავლაც. ეს ბროშურა და თქვენი ექიმი რთული პერიოდის დაძლევაში დაგეხმარებათ და გაზრდის თქვენი წარმატების შესაძლებლობებს თამბაქოს თავის დანებების თვალსაზრისით. სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ,
პირველივე ცდაზე მოწევისთვის თავის დანებებას დამოუკიდებლად,
დახმარების გარეშე ნიკოტინის მომხმარებელთა მხოლოდ მცირე
ნაწილი — სულ 5% — თუ ახერხებს. თანამედროვე მედიკამენტებს
ამ პროცენტის დაახლოებით გაორმაგებაც კი შეუძლიათ. თუ წამალს
პროფესიონალის ფსიქოლოგიური დახმარებაც ემატება, წარმატების
შანსი 2-ჯერ და მეტად იზრდება.

წარმატებს გისურვებთ!



არასოდეს არის გვიან

თამბაქოსთვის თავის დანებებას ყოველთვის აქვს აზრი. ყოველი მოწეული ღერი სიცოცხლის ათეულობით წუთს გართმევთ, თავის დანებება კი, რამდენი წლისაც არ უნდა იყოთ და მოწევის რა ხანგრძლივი გამოცდილებაც არ უნდა გქონდეთ, გულ-სისხლძარღვთა, სხვა არაგადამდები დაავადებების და მათი გართულებების რისკს მაინც შეამცირებს. ცხადია, სხვადასხვა ხარისხით, — რაც უფრო ადრე დაანებებთ თავს მოწევას, მით უფრო მეტად შემცირდება აღნიშნული რისკი.

დამტკიცებულია, რომ:

- ყოფილი მწეველები მოქმედ მწევლებზე მეტხანს ცოცხლობენ. 35 წლის ასაკში თამბაქოს მოხმარების შეწყვეტა სიცოცხლეს 10 ჯანსაღი წლით ახანგრძლივებს, 65 წლის ასაკში კი სამი წლით. ასევე გამოთვლილია, რომ, თუ მოწევას 50 წლამდე დაანებებთ თავს, მომდევნო 15 წლის განმავლობაში გარდაცვალების რისკი 1,5-ჯერ ნაკლები გექნებათ მათთან შედარებით, ვინც მოწევას განაგრძოს.
- თავის დანებება ამცირებს გულის დაავადების, კიბოს, ინსულტის, ფილტვის ქრონიკული დაავადების განვითარების საფრთხეს.
- ქალებს, რომლებმაც თამბაქოს წევას დაორსულებამდე ანდა ორსულობის პირველი 4 თვის განმავლობაში დაანებეს თავი, მცირენონიანი ბავშვის დაბადების ალბათობა თითქმის ისევე მცირე აქვთ, როგორიც არამწეველებს.

მეცნიერები უფრო შორს წავიდნენ და გამოთვალეს, როგორი თანმიმდევრობით თავისუფლდება

ორგანიზმი წლობით ნაგროვები თამბაქოს შეამისგან.

- ✓ თავის დანებებიდან 20 წუთის შემდეგ: გულისცემის სიხშირე ნორმას უბრუნდება.
- ✓ 12 საათის შემდეგ: სისხლში მხუთავი აირის, ნახშირუანგის დონე ნორმამდე ჩამოდის;
- ✓ 2-12 კვირის შემდეგ: სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა იზრდება.
- ✓ 1-9 თვის შემდეგ: ხველება და ქოშინი მცირდება. ჰაერგამტარი გზების ლორნოვანზე არსებული წამნამები ნორმალურ ფუნქციონირებას იწყებს,
- გამოდევნის ლორნოს, ასუფთავებს ფილტვებს და ამცირებს ინფექციის რისკს.
- ✓ 1 წლის შემდეგ: გულის იშემიური დაავადების რისკი მწეველებთან შედარებით ორჯერ მცირდება.
- ✓ 5-15 წლის შემდეგ: ინსულტის განვითარების რისკი ისეთივეა, როგორც არამწეველებში.
- ✓ 10 წლის შემდეგ: ფილტვის კიბოს რისკი მწეველებთან შედარებით ორჯერ ნაკლებია.
- ✓ 15 წლის შემდეგ: გულის იშემიური დაავადების რისკი არამწეველებისას უთანაბრდება.



რით განამდავთ თითოეული ნაფაზი

თამბაქოს კვამლი 7000-ზე მეტი ქიმიკატის შხამიანი ნარევია. დადასტურებულია, რომ მათგან, სულ მცირე, 250 ჯანმრთელობისთვის მავნებელია, 70-ზე მეტი კი — კიბოს იწვევს. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე კომპონენტი ამ შხამიანი ნარევიდან:

კიბოსგამომწვევი ნივთიერებები


- ფორმალდეჰიდი — გვამების გახრნისაგან დასაცავად გამოიყენება;
- ბენზოლი — შედის მანქანის საწვავის შემადგენლობაში;
- პოლონიუმ 210 — რადიაქტიული და ძალიან ტოქსიკური;
- ვინილის ქლორიდი — გამოიყენება მილების წარმოებაში.

ტოქსიკური ლითონები

- ქრომი — გამოიყენება ფოლადის წარმოებისთვის;
- დარიშხანი — იყენებენ პესტიციდებში;
- ტყვია — ადრე საღებავებში იყენებდნენ და უარი თქვეს მისი ტოქსიკურობის გამო;
- კადმიუმი — გალვანური ელემენტების (საათის, დისტანციური მართვის პულტის, მაგნიტოფონის) წარმოებაში გამოიყენება.

შხამიანი აირები

- ნახშირბადის მონოქსიდი — მხუთავი აირი;
- ვერცხლისწყლის ციანიდი — გამოიყენება ქიმიური იარაღის წარმოებაში;
- შარდოვანა — შედის საწმენდ საშუალებებში;
- ბუტანი — იყენებენ სანთებელების სითხეში;
- ტოლუენი — შედის საღებავის გამხსნელებში.



მოცევით გამოწვეული დაავადებები

ავთვისებიანი სიმძიმეები

ხორხის

პირხახის

საყლაპავის

სასულეს, ბრონქების,
ფილტვების

მწვავე მიელოიდური
ლეიკემია

კუჭის


პანკრეასის

თირკმლისა და შარდსაწვეთის

მსხვილი ნაწლავის

საშვილოსნოს ყელის

შარდის ბუშტის



ძრონიკული დაავადებები

ინსულტი

სიბრმავე, კატარაქტა

ღრძილების დაავადება

აორტის ანევრიზმა

გულის კორონარული
დაავადება და ინფარქტი

ფილტვის ქრონიკული
ობსტრუქციული დაავადება


პერიფერიული სისხლძარღვების
დაავადება და განგრენა ასთმა და
სასუნთქი სისტემის სხვა დაავადებები

ბარძაყის მოტეხილობა

შვილოსნობის დაქვეითებული უნარი

Source: U.S. Department of Health and Human Services. The health consequences of smoking: a report of the Surgeon General. Atlanta, U.S. Department of Health and Human Services, Centers for Disease Control and Prevention, National Center for Chronic Disease Prevention and Health Promotion. Office on Smoking and Health, 2004 (http://www.cdc.gov/tobacco/data_statistics/sgr/sgr_2004/chapters.htm, accessed 5 December 2007).

პასიური მონაცით გამოვლეული დაავადებები



Source: U.S. Department of Health and Human Services. The health consequences of involuntary exposure to tobacco smoke: a report of the Surgeon General. Atlanta, U.S. Department of Health and Human Services, Centers for Disease Control and Prevention, Coordinating Center for Health Promotion, National Center for Chronic Disease Prevention and Health Promotion. Office on Smoking and Health, 2006 (<http://www.surgeongeneral.gov/library/secondhandsmoke/report/fullreport.pdf>, accessed 5 December 2007).

ლომი პირველი კილომიტრის სტატისტიკა

- მე-20-ე საუკუნეში თამბაქოს მოხმარების შედეგად 100 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.
- მსოფლიოში ყოველწლიურად თამბაქოს გამო საშუალოდ 5.4 მილიონი ადამიანი კვდება, 1 ადამიანი ყოველ 6 წამში
- ყოველი 10 მოზრდილი ადამიანიდან 1-ის სიკვდილის მიზეზი თამბაქოს მოხმარებაა. - თამბაქო მწეველების ნახევარზე მეტის სიკვდილის მიზეზია (დანარჩენი იღბლიანები სხვა მიზეზებს ეწირებიან, ვიდრე საბოლოოდ თამბაქოს ემსხვერპლებოდნენ).
- 8 ყველაზე გავრცელებული დაავადებიდან, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით სიკვდილის წამყვან მიზეზებს წარმოადგენენ, ექვსის რისკ-ფაქტორი თამბაქოს მოხმარებაა.
- თამბაქოს მოხმარებისაგან გამოწვეული გართულებებით გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება ვიდრე შიდსის, ავტოკატასტროფების, მკვლელობების, თვითმკვლელობების, ინფექციური დაავადებების, სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შედეგად ერთად აღებული.



- გარდაცვლილ ონკოლოგიურ ავადმყოფთა 30% თამბაქოს მოიხმარდა, ფილტვის კიბოს დროს კი მწეველთა ხვედრითი წილი 80%-ს აღწევს.
- ვინაიდან თამბაქოს მოხმარების დაწყებიდან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებამდე რამდენიმეწლიანი შუალედია, თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებისა და სიკვდილის ეპიდემია შედარებით ახალი დაწყებულია და მისი

მასშტაბები, თუ მსოფლიომ თამბაქოს ეპიდემიის შესაჩერებლად უსწრაფესად არ იმოქმედა, კიდევ უფრო გაიზრდება და 2030 წლისთვის 8 მილიონს მიაღწევს.

აშშ-ის პედიატრიის აკადემიისა და ფონდ „მემკვიდრეობის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ავადობის ტვირთი ძირითადად ბავშვებზე მოდის. თითქმის ნახევარი მსოფლიოში მოსახლე ბავშვებისა ისუნთქავს თამბაქოს გამონაბოლქვით მოწამლულ ჰაერს. ე.წ. მეორადი მოწევა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვთა ჯანმრთელობას. აქ იგულისხმება მცირე წონა დაბადებისას, უეცარი სიკვდილის სინდრომი, ასთმა და შუაყურის ანთებები ბავშვებში, რასაც ემატება თამბაქოს მწეველთა გარემოში გაზრდილი ბავშვების მიერ შემდგომში თამბაქოს მოხმარების მაღალი პროცენტი.

მეორადი მოწევა ყოველწლიურად თითქმის 50 000 სიკვდილის მიზეზია არამწეველ მოზრდილებში აშშ-ში და ოქედან დაახლოებით 3 400 ადამიანი ფილტვის კიბოთი იღუპება, ხოლო 46 000 კი გულისა და სისხლძარღვების დაავადებებით.

სხვების თანდასწრებით მოწევა ზრდის მათ რისკს განუვითარდეთ მიოკარდიუმის ინფარქტი და ამ უკანასკნელს შეენირონ. თუ მოწევისგან თავს შეიკავებთ, თქვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, თანამშრომლებს და სხვა გარშემომყოფთაც დაიცავთ.

ჯანმოს მონაცემებით, „პასიური მოწევის“ შედეგად საქართველოში ყოველწლიურად 82000 არამწეველი ავადდება, 4000 უდანაშაულო ადამიანი კი იღუპება.



რატომ არის ძნელი სიგარეტის გადაგდება

ნიკოტინი ძლიერ მიჩვევას იწვევს. ჰეროინის, კოკაინის და სხვა ნარკოტიკების მსგავსად ნიკოტინი ტვინის მუშაობას ცვლის და აიძულებს მწეველს მეტი ნიკოტინი მოისურვოს. ეს სურვილი შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს რომ სხვა ვერაფერზე ფიქრი ვერ შეძლოს. მოწევა, ჩვეულებრივ როგორც ფიზიკურ ისე ფსიქიკურ დამოკიდებულებას იწვევს. ეს ქიმიური რეაქციაა და ნებისყოფასთან საერთო ბევრი არაფერი აქვს.

არ არსებობს რაიმე მეცნიერული მტკიცებულება, რომ ნაკლები კუპრის შემცველი, მსუბუქი, ფილტრიანი სიგარეტები შედარებით ნაკლებ სახითათოა. მეცნიერებმა დაამტკიცეს რომ ისინი სხვების მსგავსად იწვევს მიჩვევას და ძლიერ ანალოგებზე არანაკლებ საშიშია.

სულ რამდენიმე კვირაც რომ ეწეოდეთ და მერე თამბაქოს ნევას ერთბაშად დაანებოთ თავი ან საგრძნობლად მოუკლოთ, ეს სიმპტომები მაინც იჩენს თავს. აღკვეთის სინდრომი ბოლო სიგარეტის მოწევიდან რამდენიმე საათში დაიწყება და პიკს 2-3 დღეში მიაღწევს, სულ კი რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე გაგრძელდება.

აი, უსიამოვნებების ჩამონათვალი რომელიც თან ახლავს თამბაქოს თავის დანებების პროცესს:

- თავბრუხვევა (მხოლოდ 1-2 დღე);
- იმედგაცრუების ან ბრაზის განცდა;
- გაღიზიანებადობა;
- ძილის დარღვევები;
- კონცენტრირების გართულება;
- მოუსვენრობა;
- თავის ტკივილი;

- ადვილად დაღლა;
- მაღის მომატება.

კვლევებმა აჩვენა, რომ სიგარეტის ლერების თანდათანობით შემცირება ნაკლებად ეფექტურია. ჯერ ერთი იშვიათად მოწეულს უფრო ხარბად ეტანებით და მეტ შხამს იღებთ, მეორეც აღკვეთის სიმპტომებს თითოეული ღერი უფრო გიძლიერებთ და, რაც მთავარია, სიგარეტის მოწევის ჩვევას თავს ვერ ანებებთ.

ყველაზე ეფექტური გზაა ერთბაშად შეწყვიტოთ მოწევა, ამით ერთი მხრივ ორგანიზმს განსხვავებულ ცხოვრებას ასწავლით, მეორეს მხრივ კი აღკვეთის სიმპტომებს ამგვარად უფრო სწრაფად გაუმკლავდებით.

მწეველთა 70-90% ამტკიცებს, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც “ძველ მეგობარს” ვერ ელევა, სწორედ ეს სიმპტომებია. გახსოვდეთ, ეს თქვენი ორგანიზმის მცდელობაა თამბაქოს გარეშე ცხოვრება ისწავლოს. თუ მოწევას არ დაიწყებთ, სიმპტომები თანდათანობით შემცირდება და რამდენიმე კვირის შემდეგ მთლიანად გაივლის. თანდათან უფრო და უფრო ნაკლები ფსიქიკური ძალისხმევა დაგჭირდებათ არამწეველთა რიგებში დარჩეთ.

აღკვეთის სიმპტომებთან გამკლავებაში მედიკამენტებს მნიშვნელოვანი დახმარება შეუძლიათ. ყველა მათგანი რეალურად ზრდის მოწევის აბსტინენციის (თავის შეკავების) ხანგრძლივობას.



შევაღინოთ თამაშოსთვის თავის დანებების გეგმა

დათქვით თამაქოსთვის თავის დანებების დღე

არ არსებობს სიგარეტის მიტოვების იოლი გზა. მაგრამ ამის დაგეგმვა დაგეხმარებათ იმ წინააღმდეგობების დაძლევაში, რომლებიც სავარაუდოდ გაჩნდება თქვენს წინაშე. პირველ რიგში მომდევნო თვეში სპეციალურად ერთი დღე შეარჩიეთ. ეს თარიღი ზედმეტად შორეული არ უნდა იყოს, რათა თქვენთვის რთული არ აღმოჩნდეს მისი მიყოლა. მაგრამ ნურც ძალიან იჩქარებთ რომ ამ დღისთვის მომზადება, ძალებისა და დახმარების მობილიზება შეძლოთ თავის დანებების თარიღად შეიძლება შეარჩიოთ როგორც ერთი ჩვეულებრივი დღე, ისე განსაკუთრებული თარიღი, მაგალითად, დაბადების დღე, სადღესასწაულო თარიღი ან უქმები, რომელიც ნაკლებად სტრესული იქნება თქვენთვის. თქვენს კალენდარზე თამაქოს მიტოვების დღე სპეციალურად მონიშნეთ. ეს თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი დღეა.

თავის დანებების დღემდე

- **მიმართეთ ექიმს:** თუ თქვენ ჯერ არ გასაუბრებიხართ ექიმს თამაქოსთვის თავის დანებების შესახებ, ახლა გააკეთეთ ეს. იკითხეთ თამაქოს მიტოვების კონსულტირებისა და მედიკამენტური მკურნალობის



მეთოდების შესახებ. კონსულტირებით ან მედიკამენტებით დახმარება აუმჯობესებს თქვენი წარმატების შანსს, ხოლო მათი ერთობლივი გამოყენება კიდევ უფრო ეფექტურია. თუკი ექიმი გინიშნავთ ისეთ წამალს, როგორიცაა ჩამპიქსი (ვარენიკლინი), მისი მიღება თამბაქოსთვის თავის დანებების თარიღამდე 2 კვირით ადრე უნდა დაიწყოთ, რათა წამალმა მოასწროს მოქმედების დაწყება.

- გააგებინეთ ყველას:** ჩუმად თავის დანებება რა თქმა შესაძლებელია, მაგრამ ძალიან ხშირად ამას ასევე ჩუმად მოწევის განახლება მოსდევს. ამიტომაც ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს შეატყობინეთ თამბაქოსთვის თავის დანებების გადაწყვეტილებისა და თარიღის შესახებ. გადააქციეთ თქვენი ახლობელი ადამიანები საკუთარ მოკავშირებად. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი მორალური მხარდაჭერა გაგინიონ. აუხსენით მათ, როგორ შეუძლიათ უფრო მეტად დაგეხმარონ თამბაქოსთვის თავის დანებების მცდელობაში.
- მწეველებს ურჩიეთ შემოგიერთდნენ.** თუ მზად არ არიან აუხსენით, რომ თქვენს დასახმარებლად ნუ მოსწევენ სიგარეტს თქვენი თანდასწრებით, ნუ დაგანახებენ როგორ უკიდებენ სიგარეტს, ნუ გაუსვამენ ხაზს რომ მოსაწევად გადიან. პირველ კვირებში ისედაც მძიმე ფსიქოლოგიური დაძაბვის გადატანა გინევთ და ეცადეთ, თავს ზედმეტი გამოცდები აარიდოთ.
- მოაწყეთ გენერალური დასუფთავება.** საკუთარი ბინიდან, სამუშაო ადგილიდან და მანქანიდან მოაშორეთ თამბაქოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ატრიბუტი. ნუ შეინახავთ სიგარეტს ისე, ყოველი შემთხვევისთვის - თქვენ შეიძლება ვერ გაუძლოთ ცთუნებას. ასევე გაითვალისწინეთ კბილების პროფესიონალური განმენდაც, რაც ერთ-ერთი მოტივატორია სიგარეტის მიტოვებისას მიღწეული წარმატების შენარჩუნებაში.
- მოიმზადეთ მარაგი.** ხელთ უნდა გქონდეთ ის საშუალებები, რომლებიც გამოგადგებათ

სიგარეტის ჩასანაცვლებლად, მაგალითად უშაქრო საღეჭი რეზინი, საწუნი კანფეტი, დარიჩინის ჩხირები ან ხრაშუნა ბოსტნეული.

- **მიიღეთ დახმარება.** რაც მეტად გეხმარებიან, მით მეტია თამბაქოს წარმატებული მიტოვების ალბათობა. განსაზღვრეთ რა რესურსებია (მხარდამჭერი სერვისები, ნიკოტინის ჩანაცვლებითი და სხვა მედიკამენტები, კონსულტირება) ხელმისაწვდომი მოწევისთვის თავის დანებების შემდეგ, რაც ამ მდგომარეობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.
- **გაითვალისწინეთ ძველი გამოცდილება.** თუ ადრე, მაგრამ წარუმატებლად სცადეთ თამბაქოსთვის თავის დანებება, იფიქრეთ იმაზე, თუ რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდით და რატომ განაახლეთ სიგარეტის მოწევა. მოიფიქრეთ, ამჟამად რისი გაკეთებაა შესაძლებელი განსხვავებულად. მაგალითად, ჩამოაყალიბეთ თქვენი მაპროვოცირებელი ფაქტორების სია და მათთან გამკლავების მეთოდები. თამბაქოს მიტოვების შესახებ დღიურის წარმოება შესაძლებელია დაგეხმაროთ იმ შეგრძნებებისა და სიტუაციების თვალყურის დევნებაში, რომლებიც თქვენში მოწევის დაუძლეველ სურვილს აჩენს.



ჩვენი გეგმა

მიზეზების ჩამოწერა დაგეხმარებათ დანებების შემდეგ წუთიერ ცდუნებას ძლიოთ და თამბაქოსგან განთავისუფლების სურვილი უფრო ძლიერი იყოს ვიდრე მოწევისა. ნიკოტინს შეჩვეული ორგანიზმი მუდმივად შემოგაპარებთ მიზეზებს თუ საპაპებს რომელიც იმ წუთში შეუვალ ჭეშმარიტებად მოგეჩვენებათ ასე რომ სჯობს მომზადებული იყოთ.

თამბაქო უცებ, წუთიერი იმპულსის ზეგავლენით მიატოვეთ? ძალიან კარგი, — ბევრი მწეველი სიგარეტს ერთ წუთში მიღებული გადაწყვეტილებით ემშვიდობება. თუმცა მიზნის ჩამოყალიბება და თამბაქოს თავის დანებების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, რაც შეიძლება ძალიან მცირე დროში შეძლოთ, კიდევ უფრო გაზრდის თქვენი წარმატების შანსს.

(შეავსეთ ან განიხილეთ ექიმთან)

დანებების თარიღი:

რატომ მინდა სიგარეტისთვის თავის დანებება:

რამდენად ძლიერია თამბაქოს მიტოვების ჩემი სურვილი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
ძალიან სუსტი											ძალიან ძლიერი

რა არის ჩემი მწეველობის მთავარი მიზეზი, რის გამოც თამბაქოს მიტოვება გამიძნელდება:

ყველაზე მეტად როდის გამიჭირდება (და რომელი სიგარეტი მომენატრება):

როგორ გავუმკლავდები ამ სირთულეებს:

ვის ვთხოვო დახმარება :

მწეველები ჩემს გარემოცვაში ვისაც წინასწარ უნდა ვთხოვო ჩემი თანდასწრებით არ მოწიონ
(სიგარეტსაც კი არ მოუკიდონ):

ჩემი წარსული გამოცდილება თამბაქოს მიტოვებასთან დაკავშირებით:

ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი როცა არ მომინევია: _____

რამ შემინიჭო ხელი, რომ არ მომენია და რა გამომადგება აქედან:

რატომ განვაახლე მოწევა და როგორ უნდა მოვიქცე, მსგავსი რამ ახლაც რომ არ განმეორდეს:

მედიკამენტები თამბაქოს მიტოვებისთვის (ავსებს სამედიცინო პერსონალი)

სტრატეგია მოცევის შემყვაწის ღლისთვის

- არ მოწიოთ ერთი ღერი სიგარეტიც კი;
- დაისახეთ მცირე მიზნები: არ მოწიოთ ერთი საათი, დღე, კვირა. თუმცა თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა, ამ ეტაპზე სჯობს კონცენტრირება აწმოცა და უახლოეს მომავალზე გააკეთოთ. არ დაგავიწყდეთ მიულოცოთ საკუთარ თავს პატარ-პატარა მიზნების მიღწევა და ახალი მიზნისკენ გაეშურეთ;
- დაიწყეთ ნიკოტინჩანაცვლებითი თერაპიის გამოყენება, თუ თქვენ არჩევანი ამ მეთოდზე შეაჩერეთ;
- საკუთარ თავს შეახსენეთ ის მიზეზები, რის გამოც უნდა მიატოვოთ თამბაქო (ხშირად გადაიკითხეთ მე-15-18 გვერდი);
- დალიეთ დიდი რაოდენობით წყალი ან წვენი;
- იყავით ფიზიკურად აქტიური;
- მოერიდეთ იმ ადამიანებს და სიტუაციებს, რომლებიც თქვენში მონევის სურვილს იწვევენ;
- ეწვიეთ ოჯახის ექიმს ან დარეკეთ თამბაქოს მიტოვების ცხელ ხაზზე;
- ისწავლეთ სტრესის მართვა და რელაქსაცია (იხილე ქვემოთ);
- დაკავდით რაიმე საქმით: ბეჭდეთ, წერეთ, ხელპურთი ან კალათბურთი ითამაშეთ, პიანინოს დაკვრითა და ხელსაქმით გაერთეთ.

ეს დღე აღნიშნავს ახალი, უფრო ჯანსაღი და ბედნიერი მეს დასაწყისს. მე ვალდებულებას ვიღებ ნიკოტინური დამოკიდებულების დასამარცხებლად
და ვდებ ა. ნ. ო (არცერთი ნაფაზი ოდესმე)
პირობას ერთი დღით ერთ ჯერზე.

როგორ დავძლიოთ მოხავის სურვილი

სხვათა შორის ეს რჩევები წებისმიერ სტრუქტურას გამკლავებაშიც გამოგადგებათ.

1. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი დამშვიდებულად

წარმოიდგინეთ ისეთი რამ, რაც თქვენს ფიქრებს სანერვიულო მიზეზიდან სადმე შორს გადაიტანს; იყიქრეთ საყვარელ დასასვენებელ კურორტზე, სპექტაკლზე, ფეხბურთის მატჩზე დასწრებაზე, ახლობელ ადამიანთან ერთად რესტორანში ან კაფეში წასვლაზე და სხვა. გაგიკვირდებათ და მხოლოდ ამ წარმოსახვასაც შეუძლია სიმშვიდის განცდა ჩაგინერგოთ.

2. ისუნთქეთ ღრმად

სტრუქტურას შეგრძნება იწვევს დაძაბულობას, ზედაპირულ გახშირებულ სუნთქვას, მაშინ როცა სიმშვიდე დაკავშირებულია წყნარ სუნთქვასთან. სცადეთ შემდეგი: 10-ჯერ ღრმად ამოისუნთქეთ და ჩაისუნთქეთ. ეს აუცილებლად მოგვირით შვებას.

3. მიმოიხედეთ ირგვლივ

ეცადეთ ფოკუსირება მოახდინოთ მოცემულ მომენტში თქვენს გარემოცვაზე, ერთჯერადად შეჩერდით მხოლოდ ერთ საქმეზე და ნუ ეცდებით ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებას. რაც მეტი დროის განმავლობაში მოახდენთ კონცენტრირებას მიმდინარე საქმეზე, მით მეტად გადაინაცვლება სტრუქტურა უკანა პლანზე.

4. დალიეთ ცხელი ჩაი

თუ თქვენ ყავის მოყვარული ხართ, გაითვალისწინეთ მწვანე ჩაის ალტერნატივა. ყავაში შემავალი კოფეინი ზრდის სტრუქტურის პორმონის, კორტიზოლის გამოყოფას.. მწვანე, გვირილის თუ შავი ჩაი დაგეხმარებათ სიმშვიდე შეინარჩუნოთ და სტრუქტურის დაძლიოთ.

5. გაუზიარეთ ახლობლებს სითბო

რელაქსაციის მიღწევა შესაძლებელია მეგობართან ან ოჯახის წევრთან მოულოდნელი ჩახუტებით, თქვენს მეუღლესთან ალერსით, თქვენი საყვარელი შინაური ცხოველის მოფერებით ან მეგობრისთვის თქვენს ცხოვრებაში მიმდინარე კარგი ამბების მოყოლით. ექსპერტები ამბობენ, სოციალური ურთიერთობები ეხმარება თქვენს ტვინს უკეთესად იფიქროს და ახლებურად გადაწყვიტოს ისეთი სიტუაციები, რომელიც მანამდე გამოუვლად მიგაჩნდათ. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ ფიზიკურ კონტაქტს, როგორიცაა მაგალითად, შინაური ცხოველის მოფერება, შეუძლია აქტიურად შემაციროს სისხლის წნევა და სტრესის ჰორმონების დონე.

6. შეისვენეთ

მოზრდილებს ისევე სჭირდებათ შესვენება, როგორც ბავშვებს. ასე რომ, როდესაც გრძნობთ, რომ თქვენი თავშეკავება აფეთქების ზღვარზეა, ექსპერტები გთავაზობენ იპოვოთ მშვიდი ადგილი, სადაც განერიდებით დაძაბულ გარემოს და მშვიდად იფიქრებთ სასიამოვნო თემებზე.

7. სცადეთ მუსიკალური განტვირთვა

მუსიკას შეუძლია დაამშვიდოს გულისცემა და დააწყნაროს სული. ამდენად, როდესაც თავს აფორიაქებულად იგრძნობთ, შეგიძლიათ მოუსმინოთ წყნარ სასიამოვნო მუსიკას, მათ შორის კლასიკურსაც. როგორც კვლევებმა აჩვენა, კლასიკური მუსიკის მოსმენა 30 წუთის განმავლობაში ისეთივე დამამშვიდებელი ეფექტით ხასიათდება, როგორც 10 მგ ვალიუმის (დამამშვიდებელი პრეპარატის) მიღება.



თამაშობს მიზოვება გასუქებას არ ნიშნავს

არ არის აუცილებელი სიგარეტის მიტოვების შემდეგ წონაში მოიმატოთ. სტატისტიკით, ზოგიერთი საერთოდ არ იმატებს, ან წონის საშუალო მატება 5 კგ-ზე ნაკლებია. 100 ადამიანიდან ვინც თამბაქო მიატოვა, მხოლოდ 10 იმატებს წონაში საგრძნობლად 10-15კგ-ს.

სიგარეტის მიტოვების შემდეგ წონის მომატებას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- შიმშილის გრძნობა — როგორც ალკოვეთის ერთ-ერთი სიმპტომი, რომელიც რამდენიმე კვირაში გაივლის;
- მეტი სასუსნავი და ალკოჃ�ოლი, თუ მოწევის სურვილის დაძლევას ცხიმებითა და შაქრით მდიდარი საკვებით ან სპირტიანი სასმელით ცდილობთ.

წონის კონტროლს შეგიძლიათ თავისუფლად მიაღწიოთ თუ არ გაზრდით საკვების რაოდენობას და ფიზიკურად იაქტიურებთ. თანაც მოძრაობით თამბაქოს მოხმარების ალკოვეთის სიმპტომებსაც შეამცირებთ. ცხოვრების რამდენიმე გზით გაჯანსაღება მშვენიერი აზრია, მაგრამ აქ ზომიერებაა საჭირო: საკუთარ თავს მეტისმეტს ნუ მოსთხოვთ. მკაცრ დიეტას არავითარ შემთხვევაში არ გირჩევთ. სჯობს ჯერ თამბაქოს გაუმკლავდეთ. თქვენი ჯანმრთელობისთვის ის უფრო საშიშია.



თამაშოს მიზანების დღიური

გახსოვდეთ თამბაქოს გარეშე გატარებული ყოველი წუთი, საათი თუ დღე უფრო და უფრო ასუსტებს ქიმიურ კავშირებს თავის ტვინში რაც ნიკოტინდამოკიდებულებას უდევს საფუძვლად. და პირიქით ნიკოტინის ახალი დოზა ძველ ჩვევებს აძლიერებს და აღკვეთის სიმტომები უფრო მძლავრად იჩენს თავს. არცერთი ნაფაზი არასოდეს — ნიკოტინდამოკიდებულებისგან განთავისუფლების ყველაზე პირდაპირი და გამოცდილი გზაა.

ჩაინიშნეთ ყველაფერი რაც მნიშვნელოვნად მოგეჩვენებათ, წარმოდგენები, რომელსაც ფსიქიკა მუდმივად გახვევთ თავს ძველ გზაზე დასაბრუნებლად, აღკვეთის სიმპტომები და სიტუაციები როცა ისინი თავს იჩენენ, თქვენი მცდელობები საკუთარი თავის დასამარცხებლად. ჯერ ერთი, წერა ასევე საქმიანობაა, რაც ყურადღების გადატანაში გეხმარებათ და მეორეც, თითოეული ჩანაწერი იარაღია, რომელიც შემდგომ ცდუნებასთან გამკლავებას გაგიადვილებთ.

თარიღი: _____

თარიღი: _____

თარიღი: _____

იმედს ვიტოვებთ ამ ორი გვერდის წაკითხვა საერთოდ არ მოგინევთ, მაგრამ თუ ყველაფერი ისე არ წავიდა როგორც გეგმავდით, ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეთ როგორ მოიქცეთ.

ପ୍ରଦର୍ଶନ ଜୀବନ ଏବଂ ବ୍ୟାକ୍ସିନ୍

თქვენ ერთი სიგარეტი მოწიეთ:

მოწინააღმდეგემ უპირატესობა მოიპოვა, თუმცა სანამ ერთი სიგარეტს მეორე და ა.შ არ მოყოლია, მოწევის შეწყვეტის მცდელობის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება. კვლავ გაიხსენეთ **არცერთი ნაფაზი ოდესმე წესი** და ცდუნებასთან გამკლავება კვლავ გააგრძელეთ. გაიხსენეთ და ჩაიწერეთ რა სიტუაციაში მოწიეთ სიგარეტი და მომავალში როგორ შეძლებთ მსგავსი რამ არ განმეორდეს.

ყოველი მარცხი გამარჯვებას გვასეავლის

თუ ამ რაუნდში თამბაქომ გაიმარჯვა, იმედგაცრუება ნუ დაგეუფლებათ. ნიკოტინდამოკიდებულება არც ისე ადვილი დასამარცხებელია და ძალიან ბევრ ადამიანს საბოლოო წარმატების მიღწევამდე რამდენიმე მცდელობა სჭირდება. მიუდექით ამ მცდელობას როგორც გამოცდილების შეძენას და არა წარუმატებლობას. ეჭვი არ გვეპარება, თქვენ ძალებს მოიკრიბავთ და შემდგომ რაუნდს დაგეგმავთ. მანამდე კი, შევაჯამოთ რა ვისწავლეთ, რომ როცა კვლავ ეცდებით თამბაქოსთან გამკლავებას, თქვენი შემდგომი მცდელობა უფრო წარმატებული იყოს:

რამდენი ხანი არ ვეწეოდი: _____

რა ვისწავლე: _____

შენიშვნებისათვის: